<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 127^1 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 127^1. საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ან ტვირთის გადაზიდვის და ავტოსადგურის/ავტოსადგომის მუშაობის წესების დარღვევა, ან არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) სატრანსპორტო საშუალებით გზაზე მოძრაობა შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმების გარეშე“;

ბ) მე-3 ნაწილის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 ნაწილები:

„3^1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის სახმელეთო მონაკვეთის სასაზღვრო გამტარი პუნქტიდან არა უმეტეს 20 კმ-ის რადიუსში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებული და ავტოსატრანსპორტო საშუალებების რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართული, M2, M3, N2 და N3 კატეგორიის ავტოსატრანსპორტო საშუალებების (ცალკე, ნახევარმისაბმელით ან მისაბმელით) ავტოსადგომის მუშაობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

3^2. ამ მუხლის 3^1 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით.“.

2. 214-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საავტომობილო ტრანსპორტისა და ელექტროტრანსპორტის ორგანოები განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 127^1 მუხლის მე-3 ნაწილით, აგრეთვე იმავე მუხლის 3^1 და 3^2 ნაწილებით – თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 129-ე მუხლის მე-2–მე-4 ნაწილებით და 130-ე მუხლით (გარდა ამ კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) (საავტომობილო ტრანსპორტსა და ელექტროტრანსპორტზე ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის).“.

3. 219-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ამ კოდექსის 153^{7} , 153^{8} და 153^{10}–153^{12} მუხლებით, 155^{3} მუხლის პირველი–მე-10 ნაწილებით, 155^{5} მუხლით, 155^{6} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 165-ე მუხლით, 171^{5} მუხლის მე-3 და მე-7 ნაწილებით და 194-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში – ამ კოდექსის 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 127^{1} მუხლის მე-2, 3^{1} და 3^{2} ნაწილებით, 129^{1}, 157-ე, 177^{14}, 191^{1} და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.“;

ბ) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 127^{1} მუხლის მე-2, 3^{1} და 3^{2} ნაწილებითა და 157-ე, 165-ე, 165^{10}, 165^{11} და 195-ე მუხლებით, – საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს;“.

4. 239-ე მუხლის:

ა) მე-19 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„19. ამ კოდექსის 82^{5} მუხლით (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების იმპორტის ნაწილში), 91^{2} მუხლით, 91^{3} მუხლის პირველი ნაწილით, 127^{1} მუხლის მე-2 ნაწილით, 135^{2} მუხლის მე -2 ნაწილით და 153-ე, 153^{1}, 153^{5}, 155^{1}–155^{3},155^{5} და 155^{6} მუხლებით, 155^{7} მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებითა და 155^{9}, 155^{10}, 157-ე, 158-ე, 164-ე, 164^{4}, 165-ე–165^{3} მუხლებით, 171^{4} მუხლის მე-2 ნაწილითა და 171^{5}, 178-ე, 179^{3}, 194-ე და 195-ე მუხლებით, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში 127^{1} მუხლის 3^{1} და 3^{2} ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.“;

ბ) 28-ე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„28. ამ კოდექსის 127^{1} მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებით, აგრეთვე თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში 127^{1} მუხლის 3^{1} და 3^{2} ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ოქმების შედგენის და ადმინისტრაციული სახდელების დადების უფლება აქვს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს საამისოდ უფლებამოსილ პირს.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**